

შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის,  
ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

თბილისი, 0102 დ. უზნაძის ქ. №78  
ტელ: 951-124; 955-366; ფაქსი: +995(32)961683  
ელ-ფოსტა: [sanitary@hygiene.ge](mailto:sanitary@hygiene.ge)  
<http://www.hygiene.ge>



LTD G. NATADZE SCIENTIFIC-RESEARCH  
INSTITUTE OF SANITARY,  
HYGIENE AND MEDICAL ECOLOGY

78 D. Uznadze St.; 0102 Tbilisi  
Tel: 951-124; 955-366; Fax: +995(32) 961683  
E-mail: [sanitary@hygiene.ge](mailto:sanitary@hygiene.ge)  
<http://www.hygiene.ge>

№ 105/01-09

26 07 2012 V

კაეშირის - „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების  
განვითარების ასოციაცია“ - გამგეობის თავმჯდომარეს,  
ქალბატონ გულნარა შოშიტაშვილს  
ქალბატონო გულნარა,

თქვენი მომართვის თანახმად, შესრულებული იქნა თეთრი წყაროს  
ცენტრალური ხეობის წყალმომარაგების სახმელი წყლების ქიმიური და  
მიკრობიოლოგიური ანალიზი, სულ 3 ნიმუში (გამოცდის ოქმი №№378-380).

კვლევის შედეგების მიხედვით, საკვლევი წყლის სამივე ნიმუში  
მიეკუთვნება ოპტიმალური მინერალიზაციის (390,60-437,14 მგ/ლ) და საშუალო  
სიხისტის (4,10-4,60 მგ.კაქ/ლ) წყლებს, რაც ძირითადად განპირობებულია  
კალციუმისა (72,14-82,16 მგ/ლ) და მაგნიუმის (6,08-7,29 მგ/ლ)  
პიდროკარბონატებით (262,30-234,85 მგ/ლ), ხასიათდება სულფატებისა და  
ქლორიდების შედარებით დაბალი შემცველობით, მიეკუთვნება  
პიდროკარბონატულ კალციუმის ტიპის წყლებს.

სამივე ნიმუშის ორგანოლექტიკური, ეპიდემიური უსაფრთხოების ქიმიური  
(ჯანგვადობა, ამონიუმის იონი, ნიტრიტი, ნიტრატი) და მიკრობიოლოგიური  
მაჩვენებლები დადგენილი ნორმების ფარგლებშია. სამივე ნიმუშში დაფიქსირდა  
თავისუფალი ნარჩენი ქლორის შემცველობა 0,04-0,21 მგ/ლ-ის ფარგლებში, რაც  
სახმელი წყლის გაუსნებოვნებაზე მოუთითებს. №1 და №2 ნიმუშებში მისი  
რაოდენობა ქსელისათვის დასაშვები ნორმის ფარგლებშია (არანაკლებ 0,1  
მგ/ლ), ხოლო №3 ნიმუშში (გამოცდის ოქმი №380) ჰიგიენურ ნორმაზე ბევრად  
დაბალია, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს გამანაწილებელი ქსელის  
არაკეთილსაიმედო სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობასთან.

მიღებული შედეგების მიხედვით ამ წყლების სასმელ-სამეურნეო მიზნებით  
მოხმარება დასაშვებია.

ინსტიტუტის გენერალური დირექტორი *ი. კვიციანი* ია განუგრავა

მედიცინის დოქტორი *მ. კვიციანი* მარინა ლაშხაური

უფროსი მეცნიერი *მ. კვიციანი* მანანა გრძელიშვილი

